

შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ფული და ფულის ექვივალენტები		160,988	8,880
სავაჭრო მოთხოვნები	4	650,043	821,887
გადახდილი ავანსები		110,816	103,366
მარაგები		70,830	64,305
სხვა მიმდინარე აქტივები		207,797	28,934
ძირითადი საშუალებები	3	349,653	468,490
არამატერიალური აქტივები		142,037	284,301
სულ აქტივები		1,692,164	1,780,163
კაპიტალი		5,750,003	5,892,743
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		(4,838,161)	(4,957,560)
სულ კაპიტალი		911,842	935,183
სავაჭრო ვალდებულებები	4	780,321	842,467
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		1	12
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა ვალდებულებები		-	2,501
სულ ვალდებულებები		780,322	844,980
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,692,164	1,780,163

შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
მოგება - ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		4,499,226	4,368,803
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(704,302)	(729,482)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(3,272,896)	(3,133,393)
ცვეთა და ამორტიზაცია		(336,701)	(261,973)
იჯარის ხარჯი		(67,444)	(63,578)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(1,014)	(2,304)
სხვა შემოსავალი		3,000	645,697
სულ საოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		119,869	823,770
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(469)	4,617
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		119,400	828,387
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		119,400	828,387

შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

1 იანვარი, 2020

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	702,675
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(595,879)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
მიმდინარე მოგება / (ზარალი)	828,387

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	935,183
31 დეკემბერი, 2020	-

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	935,183
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(142,741)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
მიმდინარე მოგება / (ზარალი)	119,400

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	911,842
31 დეკემბერი, 2021	-

შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	364,494	617,423
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(211,008)	(849,375)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	153,486	(231,952)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,378)	14,849
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8,880	225,983
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	160,988	8,880

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: კონსულტირება მართვის საკითხებში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი მომსახურების გაწევის შესაბამისად აღიარდება. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება სერვისის მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2021	1,011,702
31 დეკემბერი, 2021	1,005,993
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2021	(543,212)
31 დეკემბერი, 2021	(656,340)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2021	468,490
31 დეკემბერი, 2021	349,653

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.


4. სავაჭრო მოთხოვნები:

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დაკავშირებული კომპანიებისგან და მათ მიმართ არსებულ მოთხოვნა-ვალდებულებებს.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

23 სექტემბერი, 2022



უფლებამოსილი წარმომადგენელი



მთავარი ბუღალტერი